

გ-04/212-17

16.06.17



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

## STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

თბილისი 0114, თავისუფლების მოედანი 2, ტელ: +995 (32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge  
FREEDOM SQUARE 2, 0114 TBILISI, GEORGIA; TEL: +995(32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge

№ 07/6334

„13“ ივნისი 2017 წ.

საქართველოს ახლგაზრდა იურისტთა  
ასოციაციის თავმჯდომარეს  
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

თქვენი 2017 წლის 31 მაისის გ-04/190-17 (ჩვენი 31.05.2017 №07/6334) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 01 იანვრიდან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუჯეტში ხარჯი შემცირდა საქართველოს ეკონომიკური კლასიფიკაციის ხარჯების „შრომის ანაზღაურების“ მუხლში - 568 800 ლარი და „საქონელი და მომსახურების“ მუხლში - 1 074 400 ლარი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2016 წლის 01 დეკემბრიდან 2017 წლის 31 მაისის ჩათვლით რეორგანიზაცია ჩატარდა - „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და 2016 წლის 28 ივლისის საქართველოს მთავრობის N376 დადგენილების 21-ე მუხლის საფუძველზე. რეორგანიზაციის შედეგად გათვისდებულ მოხელეებზე კომპენსაციის სახით გაიცა - 40 200 ლარი.

2017 წლის 28 თებერვალს საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილების გაუქმებისა და საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ შესაბამის თანამდებობათა შემცირების მიზნით, განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის შედეგად თანამდებობიდან გათავისუფლდა 16 თანამშრომელი, ხოლო 2 მოხელე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დღემდე შრომით ურთიერთობაშია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან. დამატებით გაცნობებთ, რომ ყველა ის თანამშრომელი, რომელმაც სურვილი გამოთქვა იმავე მიმართულებით გაეგრძელებინა საქმიანობა დანიშნულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული

თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების კომისიაში. ასევე გაცნობებთ, რომ 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 მაისის ჩათვლით პირადი განცხადების საფუძველზე საკრებულოს აპარატში გათავისუფლდა 12 შტატიანი და 5 შტატგარეშე თანამშრომელი, მათ შორის რეორგანიზაციის შედეგად 1 შტატგარეშე მოსამსახურე.

დანართი 3 ფურცელი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის  
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

6. კვანძი

ნინო კეკელიძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



№ 164

„ 28 „ თებერვალი 2017 წ.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილების გაუქმების მიზნით, სტრუქტურული რეორგანიზაციის დაწყების და საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ შესაბამის თანამდებობათა შემცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 97-ე და 108-ე მუხლების, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N376 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, 21-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის №8-15 დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში 2016 წლის 3 ივნისის განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე



უფლებამოსილია შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან) არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია, რომელიც არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის უფლებამონაცვლე.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N376 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეული.“ ამავე წესის 21-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტის თანახმად და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანხმობით თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას 2017 წლის პირველ აპრილამდე ახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილების გაუქმების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში დაიწყოს სტრუქტურული რეორგანიზაცია.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილების გაუქმების მიზნით სტრუქტურული რეორგანიზაციის დაწყების, სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ შესაბამის თანამდებობათა შემცირებასა და სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, დაევალოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს (ე. დუმბაძე) უზრუნველყოს აპარატის ფიზიკური და კერძო სამართლის

იკალიტაძე

ორგანიზაცია  
საკრებულო

მ. \* ს. დ. ჯ.

იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილების თანამშრომელთა გაფრთხილება და უზრუნველყოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების გატარება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

თავმჯდომარე



გიორგი ალიბეგაშვილი

